ოთარ ჯანელიძე •

ილია ნუცუბიძის პოლიტიკური პორტრეტისათვის

აბსტრაქტი

XX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სპექტრს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაც ავსებდა, რომელიც ქვეყნის გლეხური მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავდა. ქართველი ესერები ცალკე ორგანიზაციად 1918 წელს ჩამოყალიბდნენ, როდესაც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას გამოეყვნენ. პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი იყო ილია ნუცუბიძე. იგი შედიოდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში, ხოლო 1920 წლიდან რედაქტორობდა პარტიის ყოველკვირეულ ბეჭდურ გამოცემას – გაზეთ „შრომას“.

ნუცუბიძე რევოლუციური საქმიანობისათვის 1907-1909 წლებში ორჯერ იყო დაპატიმრებული. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდგომ, 1915 წელს ილია ნუცუბიძე კიევის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიკურ განყოფილებაზე ჩაირიცხა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენტიანტი, მაგრამ სწავლა არ დაუსრულებია და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

იგი, როგორც ესერთა პარტიის წარმომადგენელი, მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, სადაც ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. 1919 წლის თებერვალში ესერთა პარტიის სიით გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი. არჩეული იყო სარეგლამენტო კომისიის მდივნად, საბიბლი-

• ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

ოთეკო, სამხედრო, საფინანსო-საბიუჯეტო და მომარაგების კომისიების წევრად.

ილია ნუცუბიძე კრების პლენარულ სხდომებზე რამდენჯერმე გამოვიდა მოხსენებით საბიუჯეტო საკითხების განხილვისას, მაგრამ უფრო აქტიური იყო, როდესაც თავისი საპარლამენტო ფრაქციის სახელით შეჰქონდა სადეპუტატო შეკითხვები და მათზე პასუხებს მოითხოვდა.

ილია ნუცუბიძე, როგორც შეურიგებელი ოპოზიციონერი, მთავრობისა და მმართველი უმრავლესობის მუდმივი კრიტიკოსი იყო სოციალისტური პლატფორმიდან. აქტიურად მონაწილეობდა ესერთა პარტიის ალტერნატიული კონსტიტუციის მომზადებაში, რომელიც 1920 წლის დეკემბერში დამფუძნებელ კრებას წარედგინა.

1921 წელს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ესერთა პარტია მემარცხენე და მემარჯვენე ორგანიზაციებად გაიყო. მემარჯვენეებმა, რომელთა შორის ილია ნუცუბიძეც იყო იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს და წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაებნენ.

1922 წლის მარტში „მემარცხენეთა“ ფრთამ ილია ნუცუბიძე პარტიიდან გარიცხულად გამოაცხადა. ამ გარემოებამ და ბოლშევიკური რეჟიმის მხრიდან დევნამ ნუცუბიძე აიძულა უცხოეთში გახიზნულიყო.

საფრანგეთში ცხოვრებისას, ილია ნუცუბიძე ფართოდ იყო ჩართული ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. განაგრძობდა პუბლიცისტურ საქმიანობას. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

საკვანძო სიტყვები: სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, ილია ნუცუბიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრება, მემარცხენე ოპოზიცია

. . .

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული სოციალისტ-რევოლუციონ-ერთა პარტია, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ილია ნუცუ-ბიძეც იყო.

ილია დავითის ძე ნუცუბიძე 1883 წელს, ქუთაისის მაზრის სოფელ ფარცხანაყანევში, სასულიერო პირის – მედავითნის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია. უმაღლესი განათლები-სათვის მოგვიანებით მოიცალა, მანამდე კი რევოლუციურმა მოძ-რაობამ გაიტაცა და გახდა რა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონ-ერთა (ესერთა) პარტიის წევრი, ჩაება მის სამხედრო ორგანიზაცია-ში. ეს იყო ტერორისტული გაერთიანება, რომელიც შეიქმნა, რო-გორც თავდაცვის, ისე მმართველ სფეროებში შიშისა და დეზორგა-ნიზაციის შეტანის მიზნით; შედგებოდა 80 წევრისაგან და 1902-1911 წლებში მოქმედებდა რუსეთის იმპერიაში ესერთა პარტიის ეგიდ-ით. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო სოციალისტ-რე-ვოლუციონერთა პარტიის ცნობილი ლიდერი და „რუსეთის რევო-ლუციის ბებიად“ წოდებული ეკატერინა ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, ხო-ლო ხელმძღვანელები სხვადასხვა წლებში იყვნენ გ. გერშუნი, ე. აზ-ეფი და ბ. სავინკოვი.

ესერთა სამხედრო ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით 1907 წლის ივნისში თბილისში შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს ილია ნუცუბიძე. რევოლუციური საქმიანობისათვის იგი 1909 წელს მეორ-ედაც იყო დაპატიმრებული.

ილია ნუცუბიძე 1915 წელს ჩაირიცხა კიევის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიკურ განყოფილებაზე. იმავე წლის ივნისში მან განცხადებით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-მავრცელებელი საზოგადოების გამგეობას და სწავლის გასაგრძე-ლებლად სტიპენდიის დანიშვნა ითხოვა (https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/9696-ilia-davitis-dze-nutsubidze). როგორც ჩანს, მისი თხოვნა დაკმაყოფილდა, რახან ნუ-ცუბიძემ სრულად გაიარა სასწავლებლის სამი კურსი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ილია ნუცუბიძე საქართველოში დაბრუნდა და განაგრძო პარტიული საქმიანობა.

ესერები საქართველოში არასოდეს ყოფილან პოპულარული და ბევრი არც მიმდევარი ჰყოლიათ ეროვნული საკითხისადმი მათი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო. აქ ჩამოყალიბებული თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ორგანიზაციები ბაქოს ორგანიზაციასთან ერთად ამიერკავკასიის კომიტეტში იყვნენ გაერთიანებული (ირემაძე, 2021, 33) და შეადგენდნენ ერთიანი პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციას.

რაც შეეხება რუსეთს, იქ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის როლი თვალსაჩინო იყო, განსაკუთრებით მეფის ხელისუფლების დამხობის შემდგომ პერიოდში. თუ 1905-1907 წლებში პარტია მხოლოდ 60 ათასს წევრს მოითვლიდა, 1917 წლისათვის იგი ყველაზე მასშტაბურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ესერები დიდი გავლენით სარგებლობდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში და წარმოდგენილი იყვნენ რუსეთის დროებით მთავრობაშიც. პარტიის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები მოქმედებდნენ ჯარის ნაწილებსა და სამხედრო საზღვაო ფლოტში. პოპულარული იყო ესერთა ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი „Дело Народа“, რომლის ტირაჟი 300 ათასს აღწევდა. რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ (1917 წლის ნოემბერი) ესერთა პარტია მილიონზე მეტ წევრს აერთიანებდა (https://w.histrf.ru/articles/article/show/partiia_sotsialistov_rievoliutsionierov_rossiia). მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია არჩევნებში და მთელი ქვეყნის მასშტაბით ხმების 40,4 პროცენტი დააგროვა (https://www.vedomosti.ru/opinion/articles/2017/11/27/743144-vibrala-rossiya).

1917 წლის გაზაფხულიდან საქმიანობა გააქტიურა ესერთა პარტიის თბილისის ორგანიზაციამ, რომელიც მართავდა პარტიულ კრებებსა და შეხვედრებს. სამხრეთ კავკასიაში ოზაკომისა და ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობის პერიოდში ესერთა წარმომად-

გენლებს ირჩევდნენ თბილისის ქალაქის ხმოსანთა საბჭოსა და გამგეობის შემადგენლობაში. რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად არჩეული ერთადერთი ქართველი ესერი ივანე ლორთქიფანიძე 1918 წლის 10 თებერვალს შექმნილი ამიერკავკასიის სეიმის წევრიც გახდა (Janelidze, 2021, 136).

ქართველი ესერების მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქართული პოლიტიკური ძალების საკოორდინაციო ორგანო „ინტერპარტიული საბჭო“, რომელმაც 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ყრილობა მოიწვია. ამ ყრილობის მონაწილეთა შორის ილია ნუცუბიძეც იყო. ყრილობამ იგი, როგორც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩია.

ამ პერიოდიდან ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები რუსეთის ესერთა პარტიიდან ცალკე პოლიტიკურ ორგანიზაციად გამოყოფის სამზადისს იწყებენ. ეს პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ საგრძნობლად დაჩქარდა. 1918 წლის მაისში ესერთა პარტიის კავკასიის ორგანიზაციის მეშვიდე კონფერენციაზე ქართველი ესერები ფაქტობრივად ერთიან პარტიას გამოეყვნენ, ხოლო იმავე წლის ივნისში, ქუთაისში თავიანთი დამოუკიდებელი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა მოიწვიეს. ყრილობამ ჩამოაყალიბა ცენტრალური კომიტეტი და აირჩია პარტიის თავმჯდომარე.

1918 წლის აგვისტოს დამდეგს საქართველოს ესერთა პარტიის ხელმძღვანელობა ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და აირჩია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი რომელშიც ილია ნუცუბიძეც შედიოდა. განახლდა გაზეთ „შრომის“ გამოცემა (გრძელიძე, 1998, 159). გაზეთი, რომლის დევიზი იყო: „ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას“, ესერთა მსოფლმხედველობის პოპულარიზაციას ემსახურებოდა და თანადროულ მოვლენებსაც პარტიის ინტერესების შესაბამისად აშუქებდა. „ჩვენი დროშა არის დროშა რევოლიუციონური ინტერნაციონალისა, ჩვენი ორიენტაცია არის ორიენტაცია რევოლიუციონური სოციალიზმისა!“ – ხოლო ლოზუნგი: „დემოკ-

რატიაც და სოციალიზმიც!“, – წერდა გაზეთი (შრომა, 1919, 3 სექტემბერი).

„შრომა“ თავიდან ყოველდღიური გამოცემა იყო, 1919 წლის სექტემბრიდან კი ყოველკვირეულ ორგანოდ გადაკეთდა. თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში გაზეთს სარედაქციო კოლეგია უძღვებოდა, რომელშიც პარტიის თავმჯდომარე ლეო შენგელაია, ივანე გობეჩია და ილია ნუცუბიძე შედიოდნენ. 1920 წლიდან რედაქტორობა ილია ნუცუბიძეს დაეკისრა.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ხელმძღვანელობამ და მათ შორის, ილია ნუცუბიძემ დიდი მუშაობა გასწიეს დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. ნუცუბიძე, როგორც პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, გამოდიოდა მიტინგებსა და შეკრებებზე, ხვდებოდა მუშებისა და გლეხობის წარმომადგენლებს, განუმარტავდა მათ ესერთა საარჩევნო პლატფორმის არსს, ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ მშრომელი ხალხის ინტერესების ყველაზე უკეთესი დამცველი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია იქნებოდა და მოუწოდებდა მისი კანდიდატების (სია # 3) მხარდაჭერისაკენ.

ესერთა პარტიის საარჩევნო მიმართვასა და სარეკლამო განცხადებებში აღნიშნული იყო: „სოც. რევ. პარტია მოითხოვს მიწას მიწის მუშებისათვის, თავისუფლებას ყველსათვის. ის სასტიკ ბრძოლას უცხადებს მთელ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას მუშათა საბოლოო განთავისუფლებისათვის. ხმა მიეცით სიას # 3“ (შრომა, 1919, 28 იანვარი; 7 თებერვალი).

აღსანიშნავია, რომ 1919 წლის იანვარში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ დამფუძნებელი კრების ესერთა საკანდიდატო სიაში, რომელიც 73 კაცს აერთიანებდა, ილია ნუცუბიძე მეორე ნომრად იყო დასახელებული.

ამჯერად ესერებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა 21 453 ხმა დააგროვეს და დამფუძნებელი კრების 5 მანდატი მიიღეს. დეპუტატი გახდა ილია ნუცუბიძეც. რაკი პარტიას საკანონმდებლო ორგანოში მცირერიცხოვანი დეპუ-

ტაცია ჰყავდა, მის წევრებს ერთდროულად კრების რამდენიმე კომისიაში უწევდათ მუშაობა. ილია ნუცუბიძე არჩეული იყო სარეგლამენტო კომისიის მდივნად, საბიბლიოთეკო, სამხედრო, საფინანსო-საბიუჯეტო და მომარაგების კომისიების წევრად.

ილია ნუცუბიძეს სოციალისტ-რევოლუციონერთა საპარლამენტო ფრაქციის სახელით დამფუძნებელ კრებაში ხშირად შეჰქონდა სადეპუტატო შეკითხვები და დაბეჯითებით მოითხოვდა მათზე პასუხებს ცალკეული უწყების ხელმძღვანელებისაგან. ამ შეკითხვებიდან აღსანიშნავია: „ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ადეიშვილის უკანონო მოქმედების შესახებ“ (1919 წლის 6 მაისი); „შეკითხვა შინაგან და იუსტიციის მინისტრთა მიმართ შესახებ გაფიცვისთვის ქალაქის მოსამსახურეთა გადასახლების და დაპატიმრების გამო“ (1919 წლის 30 მაისი); „შეკითხვა სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციისა მთავრობისადმი ემისიის უფლების დარღვევის შესახებ“ (1920 წლის 8 ივნისი); „შეკითხვა დეპუტატის შეუვალობის შელახვის შესახებ“ (1920 წლის 21 დეკემბერი).

შეკითხვაში ქუთაისის მილიციის უფროსის უკანონო მოქმედებების თაობაზე, ესერი დეპუტატი ამხელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფეხმოკიდებულ ავტორიტარიზმის გამოვლინებებს, მოჰყავდა ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები, მიუთითებდა, რომ საპყრობილეებში სხედან ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული მოქალაქენი, რომელთათვისაც არ წაუყენებიათ კონკრეტული ბრალდებები და დაასკვნიდა: ამგვარი „ადმინისტრატიული თვითნებობა“ მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი სიმტკიცის წინააღმდეგ, „ვნებს ჩვენ საერთო საქმეს, დემოკრატიის საქმეს და ამიტომ მას ბოლო უნდა მოეღოს“ (საქართველოს დამფუძნებელი, I, 2019, 348-354).

1919 წლის 10 ივნისს დამფუძნებელი კრება განიხილავდა დეკრეტს საზღვარგარეთ ვაჭრობის მოსაგვარებლად 2 მილიონ მანეთის გადადების შესახებ. ესერთა ფრაქციის თვალსაზრისი პლენარულ სხდომაზე ილია ნუცუბიძემ გამოთქვა და შეუძლებლად მიიჩნია დეკრეტის წარმოდგენილი სახით მიღება, რადგან მასში და-

კონკრეტებული არ იყო საზღვარგარეთ გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობა და მკაფიოდ არც მივლინების მიზანი იყო დასაბუთებული. დეპუტატმა შიში გამოხატა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა კერძო ვაჭრების ხელში მოხვედრილიყო, რაც, ესერთა შეხედულებით, სახელმწიფოებრივად გაუმართლებელი იქნებოდა. ესერებს მიაჩნდათ, რომ ის საქმე, რომლისათვისაც ხსენებული თანხის გამოყოფა იყო განზრახული, არა კერძო პირების, არამედ მხოლოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებების მეშვეობით უნდა მოეგვარებინათ.

ილია ნუცუბიძემ სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მინდობილობით მკაცრად გააკრიტიკა მთავრობის საფინანსო პოლიტიკა, დაადანაშაულა ფინანსთა სამინისტრო ემისიის უფლების დარღვევის გამო და გაუმართლებლად მიიჩნია აზრი, რომ ევროპას შეეძლო მოეცა ხელსაყრელი სესხი ეროვნული ვალუტის შესაქმნელად. ნუცუბიძემ ნასესხები ფულით საკუთარი ვალუტის შექმნის იმედს „ფინანსიური ცრუმორწმუნეობა“ უწოდა და განაცხადა: „მთელი ევროპა დანგრეულია ფინანსიურად და თავის თავისათვის ვერ მოუვლია, ...ფიქრი იმაზე, რომ ის მოგვცემს სესხს ხელსაყრელ პირობებში, ეს პირდაპირ ზღაპარია. ...ევროპა სახეიროთ ჩვენ არაფერს მოგვცემს. თუ რაიმე მოგვცა, ჯოჯოხეთურ პირობებში მოგვცემს“. შექმნილი რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზად ილია ნუცუბიძე ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიურ ჩარევას, რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებას და „კოლექტიურ შემოქმედებაზე“ გადასვლას ასახელებდა (საქართველოს დამფუძნებელი, VI, 2019, 84-89), მოითხოვდა შეექმნათ სახალხო მეურნეობის განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეიმუშავებდა დაწვრილებით გეგმას, თუ როგორ აეყვავებინათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და მოეწყოთ ქვეყნის საშინაო და საგარეო ვაჭრობა (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 78, ფურც. 228-229).

ილია ნუცუბიძეს ჩვევად ჰქონდა საფინანსო, აგრარულ თუ ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობისას, აუცილებლად მოეშველებინა თეორიული შეხედულებები და დებულებები სხვადასხვა აკადემიური ნაშრომიდან. ეს, ერთი მხრივ, დეპუტატის განსწავლულობაზე მიუთითებდა, მაგრამ მეორეს მხრივ, მის თვალსაწიერს მნიშვნელოვნად ავიწროებდა და მხოლოდ სოციალიზმის მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიით შემოფარგლავდა.

ილია ნუცუბიძე და სოციალისტ-რევოლუციონერები მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო აქტიურად ჩარეულიყო ეკონომიკურ ცხოვრებაში და წარემართა მისი გეზი, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდნენ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის ხელშეწყობას. წინააღმდეგნი იყვნენ „გაღარიბებულ სახელმწიფო სალაროდან კაპიტალისტების სასარგებლოდ ფულის გაღების“, რაც „ბურჟუაზიულ-რეაქციონურ პოლიტიკად“ მიაჩნდათ. გმობდნენ კაპიტალისტებისაგან ქონების გამოსყიდვის პრაქტიკას და მოითხოვდნენ გამოსყიდვის ნაცვლად, კონფისკაციისათვის მიემართათ. „როდესაც დგება საკითხი, კონფისკაცია თუ გამოყიდვა ბურჟუაზიის ქონებისა, ჩვენ ურყევად მოვითხოვთ კონფისკაციას, – აცხადებდა ილია ნუცუბიძე და განმარტავდა, რომ ყოველი რევოლუციონერისა და სოციალისტისათვის ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რადგან „ეს ქონება მათ სამართლიანი წესით და გზით არ შეუძენიათ, ეს არის ხალხის წანაგლეჯი, ამიტომ სამართლიანობის თვალსაზრისით, შეუძლებელია, რომ მათ ფული მიეცეს“ (საქართველოს დამფუძნებელი, V , 2019, 501).

ესერებს თავისებური დამოკიდებულება ჰქონდათ შეძლებული მიწისა თუ წარმოების საშუალებათა მფლობელი ადამიანებისადმი. ილია ნუცუბიძე თავისი პარტიის დოქტრინას ამ საკითხში ასე ახმოვანებდა: „ბურჟუაზიის სიმდიდრე ერის სიმდიდრე არ არის, ...ბურჟუაზია ერის მტერია. ... ბურჟუაზიის და ერის ინტერესები ერთი და იგივე არაა. პირიქით, ბურჟუაზიის სიმდიდრე ერის სიღატაკეა და რადგანაც ეს ასეა, თუ სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიის სამსახურზე ხელი არ აიღო, იგი გაირიყება და სოციალ-დემოკ-

რატული მთავრობა ვერც ადმინისტრაციას მოაწყობს და ვერც ცხოვრებას მოაგვარებს“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება, I, 2019, 458). ბურჟუაზიის განმტკიცების გზა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ადგას, შემცდარი და მავნებელია. „თქვენ ან ხალხს უნდა ემსახურებოდეთ და ან ბურჟუაზიას, ან ღმერთს უნდა ემსახურებოდეთ ან ეშმაკს“, – ურჩევდა ნუცუბიძე მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს.

როგორც დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრს, ილია ნუცუბიძეს კრების პლენარულ სხდომებზე ამ კომისიაში მომზადებული კანონ-პროექტების დასამტკიცებლად გატანაც ევალებოდა. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებით დასტურდება, რომ 1920 წლის თებერვალში ის იყო მომხსენებელი საკითხზე „შრომის სამინისტროს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის კანონ-პროექტის ზოგადი განხილვისა და დამტკიცების შესახებ“.

1920 წლის 20 დეკემბერს, როდესაც 1920–1921 წლების სახელმწიფო ბიუჯეტს განიხილავდნენ, კომისიამ მასვე დაავალა მოხსენების წარდგენა შრომის სამინისტროს ბიუჯეტის საკითხზე (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346, ფურც. 204, 205, 206). იყო შემთხვევა, როდესაც ნუცუბიძემ უარი განაცხადა, ყოფილიყო მომხსენებელი კომისიის სახელით დამფუძნებელ კრებაში. მაგალითად, როდესაც უნდა განხილულიყო სამხედრო მინისტრის პროექტი „სამხედრო უწყების საჭიროებისათვის 50. 000. 000 მან. გადადების შესახებ“(საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346, ფურც. 204, 205, 206).

მომდევნო სხდომას ილია ნუცუბიძე არ დასწრებია და კომისიის წევრის უფლება-მოვალეობაზე არ უმსჯელიათ. ეს საკითხი კომისიის არც შემდგომ (1920 წლის 5, 21, 24 აპრილის, 28, 29 მაისის, 2, 9 ივნისის...) სხდომებზე დასმულა, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ილია ნუცუბიძეც.

ილია ნუცუბიძე შეურიგებელი ოპოზიციონერი იყო, მძაფრად აკრიტიკებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, აცხადებდა, რომ

„მთავრობა მოღვაწეობს არა როგორც მთავრობა, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატები, როგორც პარტიული მოღვაწენი“ და დასძენდა: „მენშევიკები იგივე ბოლშევიკებია, მხოლოდ მარჯვნიდან“. ესერებს მიაჩნდათ, რომ ბოლშევიზმი იყო „სოციალიზმი უდემოკრატიოდ“, მენშევიზმი კი – „დემოკრატია უსოციალიზმოდ“ და იდეურად უპირისპირდებოდნენ ერთსაც და მეორესაც (შრომა, 1918 წ., 3 სექტემბერი).

ილია ნუცუბიძის ოპოზიციური, კრიტიკული დამოკიდებულება განსახილველი პრობლემებისადმი მკაფიოდ ჩანს ისეთ მშრალ საოქმო ჩანაწერებშიც კი, როგორიც დამფუძნებელი კრების სხვადასხვა კომისიის სხდომათა ჟურნალებია. მაგალითად, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის 1920 წლის 9 ივნისის სხდომაზე, ესერმა დეპუტატმა წინადადება წამოაყენა, ჩაეტარებინათ „სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის“ რევიზია. კომისიამ ნუცუბიძის იდეას მხარი დაუჭირა (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346, ფურც. 108, 109).

იმავე კომისიის 1921 წლის 15 იანვრის სხდომაზე, ნუცუბიძემ მოითხოვა, მოეწყოთ რევიზია და გაერკვიათ, რამდენად მიზანშეწონილად იხარჯება სასახლისათვის შეძენილი შეშა. კომისიამ წინადადება მიიღო შესწორებით და რევიზიის ნაცვლად, ამ საკითხზე დამფუძნებელი კრების სამეურნეო კომისიას ცნობის წარმოდგენა სთხოვა (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346, ფურც. 221-223).

ილია ნუცუბიძის მოსაზრებებს კომისიის დანარჩენი წევრები ხშირად უგულებელყოფდნენ და არ იზიარებდნენ. მაგალითად: 1920 წლის 26 ივნისის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის დეკრეტის პროექტი – ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსებისა და მისი შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ, ნუცუბიძემ გამოთქვა თვალსაზრისი, რომ უფრო მართლებული იქნებოდა თუ ჯანდაცვის სფერო შინაგან საქმეთა უწყების გამგებლობას ჩამოშორდებოდა და ცალკე შეიქმნებოდა ჯანმრთელობის სამინისტრო. კოლეგა დეპუტატებმა მისი ეს წინა-

დადება უარყვეს (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346, ფურც.120-121).

საბიუჯეტო-საფინანსო კომმისიამ მხარი არ დაუჭირა ილია ნუციბიძეს, როდესაც ის პრინციპულად შეეწინააღმდეგა სეტყვით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად 10 მილიონი მანეთის გამოყოფას (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346, ფურც. 123-124).

მთელი თავისი სადეპუტატო საქმიანობის განმავლობაში ილია ნუცუბიძე მთავრობისა და მმართველი უმრავლესობის მუდმივი კრიტიკოსი იყო სოციალისტური პლატფორმიდან. იგი იწუნებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგრარულ კანონმდებლობას და მიიჩნევდა, რომ მას „არა აქვს მეცნიერული სარჩული და არ არის აშენებული იდეალის (სოციალიზმის) მიხედვით“.

1919 წლის 20 იანვარს ილია ნუცუბიძემ საქართველოს პარლამენტში თავისი ფრაქციის სახელით აგრარულ საკითხზე ალტერნატიული კანონპროექტი წარადგინა. კანონ-პროექტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მიწა, ტყე, წყლის რესურსი და წიაღისეული სამუდამოდ ხალხის საკუთრებად უნდა გამოცხადებულიყო. მათზე რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს თანასწორი უფლება ექნებოდა, ხოლო „უზენაესი გამგებლობა“ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დაეკისრებოდა. მიწით, პირველ რიგში, დაკმაყოფილდებოდნენ უმიწაწყლო და მცირემამულიანი მიწის მუშები. საკუთარი შრომით დასამუშავებლად გაცემულ მიწაზე უქმდებოდა ყოველგვარი ბაჟი და იჯარა. მიწების გადაცემა დაიშვებოდა მემკვიდრეობით, მაგრამ ისე, რომ „ერთი და იმავე ხელში არ დაგროვებულიყო მიწა კანონით დაწესებული ნორმის ზევით“ (სართანია, 2019, 47).

ილია ნუცუბიძე სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისაგან მოითხოვდა: „საჭიროა ცხოვრების მიმდინარეობაში აქტიური ჩარევა და რევოლიუციონურ სულის შეტანა, საჭიროა ცხოვრების სოციალისტურ ნიადაგზე გადახალისება. ყოველ დარგში, ქალაქის მეურნეობა იქნება ეს თუ სოფლის მეურნეობა, ჩვენ უნდა ჩავერი-

ოთ, ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ ერთ სტიქიურ პროცესს მივდიოთ“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება, VI, 2019, 503).

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია და მათ შორის ილია ნუცუბიძე საყვედურს გამოთქვამდა, რომ ფაქტობრივად „მთავრობა ბრძანებლობს და ხელმძღვანელობს დამფუძნებელ კრებას და არა დამფუძნებელი კრება მთავრობას“. ასეთ მაგალითად ესერები იმ ფაქტს ასახელებდნენ, რომ 1920 წლის 7 მაისს, საქართველოს მთავრობის დესპანმა გრიგოლ ურატაძემ მოსკოვში საბჭოთა რუსეთთან ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიკაციას არ საჭიროებდა და ძალაში ხელმოწერისთანავე შედიოდა. ილია ნუცუბიძის სიტყვებით: ეს „საკანონმდებლო დაწესებულების უფლების გაქელვა და მოსპობა“ იყო.

ილია ნუცუბიძე ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომების მუშაობაში. ერთ-ერთ ასეთ სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე, 1921 წლის 16 თებერვალს, ღამით, დაარსდა მოხალისეთა სამობილიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ალექსანდრე ლომთათიძესთან, სპირიდონ კედიასა და გრიგოლ რცხილაძესთან ერთად ილია ნუცუბიძეც შეიყვანეს. კომიტეტს, დაწყებული ომის ვითარებაში მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა გენერალურ შტაბთან, რომელსაც მოხალისენი მთავარსარდლის განკარგულებაში უნდა გადაეგზავნა (საქართველოს დამფუძნებელი კრება, VIII, 2019, 325).

ილია ნუცუბიძე აქტიურად მონაწილეობდა იმ კონსტიტუციის ტექსტის მომზადებაში, რომელიც მისი და ესერთა ფრაქციის დანარჩენი წევრების ხელმოწერით 1920 წლის დეკემბერში დამფუძნებელ კრებას წარედგინა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ალტერნატიული კონსტიტუციის შექმნა და წარდგენა იმით იყო განპირობებული, რომ ესერებმა დაიწუნეს და მიუღებლად მიიჩნიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი.

ამ დოკუმენტისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ილია ნუცუბიძემ საგაზეთო პუბლიკაციაში გამოხატა, საკონსტიტუციო კომისიის პროექტს ,,ყვითელი", ,,ბურჟუაზიული" კონსტიტუცია უწოდა და შეეცადა მკითხველი დაერწმუნებინა, რომ მშრომელთათვის მისაღები, ნამდვილი – „წითელი კონსტიტუცია" სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ შექმნა (შრომა, 1921, 13 თებერვალი).

ესერთა, როგორც თვითონ უწოდებდნენ, „არხიდემოკრატიული" კონსტიტუციით, ქართულ სახელმწიფოს სახელი უნდა შესცვლოდა და დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად, „შრომის რესპუბლიკად" წოდებულიყო. ცხადია, ესერთა კონსტიტუციის კონცეფცია სოციალისტ-რევოლუციონერთა მსოფლმხედველობას ეყრდნობოდა და მათსავე პარტიულ დოქტრინას ასახავდა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის აგრესიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა მრავალი პოლიტიკოსის მსგავსად, ილია ნუცუბიძის ბედიც ძირეულად შეცვალა.

რაც შეეხება სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციიდან მალევე იგი მემარცხენე და მემარჯვენე ორგანიზაციებად გაიყო. მემარცხენეები საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ, მემარჯვენეებმა კი იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს და წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაებნენ. ამ უკანასკნელთა შორის იყო ილია ნუცუბიძეც.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობამ, რომელიც ე. წ. „მემარცხენეთა" ფრთამ 1922 წლის 20 მარტს თბილისში მოიწვია, ილია ნუცუბიძე პარტიიდან გარიცხულად გამოაცხადა. ყოფილ თანაპარტიელთაგან უარყოფა, საბჭოთა რეჟიმის მხრიდან ნუცუბიძის დევნასაც ნიშნავდა, რამაც იგი აიძულა სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში გახიზნულიყო.

უცხოეთში, საფრანგეთში ცხოვრებისას, ილია ნუცუბიძე აქტიურად იყო ჩართული ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. განაგრძობდა პუბლიცისტურ საქმიან-

ობას. გარდაიცვალა პარიზში (ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის), დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გაზეთი „ერთობა“, 1919 წ., 5 თებერვალი.

გაზეთი „შრომა“, 1918 წ., 3 სექტემბერი.

გაზეთი „შრომა“, 1919 წ., 28 იანვარი;

გაზეთი „შრომა“, 1919 წ., 7 თებერვალი.

გაზეთი „შრომა“, 1921 წ, 13 თებერვალი.

გრძელიძე რ., საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998, გვ. 159.

ირემაძე, ი. (2021). ირემაძე ი., პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1918-1921 წლების საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა ...

სართანია მ., სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბ., 2019.

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები, ტ. I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019.

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები, ტ. V, 1920 წლის 14 იანვარი – 16 მარტი, თბ., 2019.

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები, ტ. VI, 1920 წლის 19 მარტი – 6 ივლისი, თბ., 2019.

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომათა დოკუმენტები და დამატებები. ტომი VIII. 1921 წლის 1 იანვარი - 17 მარტი, თბ., 2019.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 78.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 1346.

Janelidze O., Essays from the History of Georgia (XIX-XXI Centuries), Ney-York, 2021.

https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/9696-ilia-davitis-dze-nutsubidze

https://w.histrf.ru/articles/article/show/partiia_sotsialistov_rievoliutsionierov_rossiia

https://www.vedomosti.ru/opinion/articles/2017/11/27/743144-vibrala-rossiya

Otar Djanelidze

For the political portrait of Ilya Nutsubidze

Abstract

In the first quarter of the 20th century, the political spectrum in Georgia was filled with the Socialist-Revolutionary Party, which expressed the interests of the country's peasant population. The Georgian Socialist-Revolutionaries formed as a separate organization in 1918, when they separated from the Russian Socialist-Revolutionary Party. One of the prominent members of the party was Ilya Nutsubidze. He was a member of the Presidium of the Central Committee, and since 1920 he edited the weekly printed edition of the party - the newspaper Shroma.

Nutsubidze was imprisoned twice in 1907-1909 for his revolutionary activities. After graduating from the Tbilisi Theological Seminary, Ilya Nutsubidze entered the Economics Department of the Kyiv Commercial Institute in 1915. He was a scholarship holder of the Society for the Propagation of Literacy among Georgians but did not finish his studies and returned to his homeland after the February Revolution of 1917.

As a representative of the Social Revolutionary Party, he participated in the work of the National Congress of Georgia, where he was elected a member of the National Council. In February 1919, he became a deputy of the Constituent Assembly of Georgia on the list of the Socialist-Revolutionary Party. He was elected as the secretary of the reglementary commission and a member of the library, military, finance budget, and administrative commissions.

Ilya Nutsubidze made a speech several times at the plenary sessions of the meeting when discussing budgetary issues, but was more active when he introduced deputy questions on behalf of his parliamentary faction and demanded answers.

As an implacable oppositionist, from the socialist platform, Ilia Nutsubidze was a constant critic of the government and the ruling

majority. He took an active part in the preparation of an alternative constitution for the Socialist-Revolutionary Party, which was presented to the constituent assembly in December 1920.

In 1921, when Soviet power was established in Georgia, the Social Revolutionaries split into left and right sections. The rightists, among whom was Ilya Nutsubidze, went underground and joined the resistance movement.

In March 1922, the leftists expelled Ilya Nutsubidze from the party. This circumstance and persecution by the Bolshevik regime forced Nutsubidze to go abroad.

While living abroad in France, Ilia Nutsubidze was actively involved in the political and public life of the Georgian emigrants while continuing his journalistic activities He died in Paris and was buried in Leuville in the Georgian cemetery there.

Keywords: Party of Socialist-Revolutionaries, Ilia Nutsubidze, Constituent Assembly of Georgia, Left Opposition